# სახალხო გაზეთი

№ 513 სამშაბათი, 31 იანვარი 1912 წ. № 513

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 7-დან 9-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთს"

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც პირდაპირ „სახალხო გაზეთის" კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ. ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

ისურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს **გრდემლს.**

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

---

დომენტი პეტრეს ძე პაპიძე, მარიამი თამარ და ალექსანდრე ფალავანდიშვილები და ნატალია მამაცაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 29 იანვარს უდროოდ გარდაიცვალა პირველის მეუღლე, მეორისა—დედა, მესამისა და მეოთხისა და

**მარგარიტა პაპიძისა**

(ფალავანდიშვილის ასული).

ცხედრის გამოსვენება დანიშნულია დღეს, 31 იანვარს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, დილის 10 საათზე, გროზნის ქუჩიდან, სახლი № 6. (1—216—1)

---

მშობელნი ნატალია და იაგორა, მეუღლე ნინო, ძმანი კარაპეტ და გეურქ მიკირტუმოვები და სიმამრი აბელ კირაკოზოვი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. თელავში 28 იანვარს გარდაიცვალა პირველთა—ძვირფასი შვილი, მეორისა—საყვარელი ქმარი, მესამეთა—ძვირფასი ძმა და უკანასკნელის ძვირფასი სიძე

**ბუდღანა იაგორას ძე მიკირტუმოვი.**

დასაფლავება დანიშნულია ქ. თელავში სამშაბათს, 31 იანვარს. (1—1083—1)

---

**ვასწავლი**

ქართულ **სიმღერა-გალობას**

ორშაბათობით, ოთხშაბათობით — 4 ს.—6 საათამდე.
შაბათობით, კვირაობით — 2 ს.—4 საათამდე.

ვადგენ ქართულ მომღერალთა გუნდს.

მიიღებიან მოწაფეებიც და მუშებიც, იკითხეთ მიხეილ კავსაძესთან. ავჭალის ქ. № 29. სამოქალაქო სკოლის შენობაში. (6—1080—2)

---

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.

ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.

ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 1—2.
ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.

მუსხელიშვილი ვ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

მზარეულიშვილი მ. ი. (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" წამლით მკურნალობა. ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—257)

---

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.
სამშაბათს, 31 იანვარს

**ნ. ეგოროვისა**

გამართავს წარმოდგენას, წარმოდგენ. იქნება ანდრეევის ცნობილი პიესა

**დღენი ჩვენი ცხოვრებისა**, დრამა 4 მოქ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ლეჟავა, მარ. გოგოლაშვილი, ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნი მეტრეველი, ინაშვილი, გოცირიძე, მეტეხელი, ნარი, ანაშვილი, ფრონისპირელი, ხახანაშვილი, შანშიევი, სვანელი, სალაყაია, ჭანკვეტაძე, და სხვანი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. ადგილების ფასი 1 მ. 20 კ. 15 კ.-დე. ამ წარმოდგენაზე ბავშვებს და შეგირდებს არ შეუშვებენ. დასაწყ. სალ. 8 ს.

(2—1003—2) რეჟისორი ალ. წუწუნავა, წარმოდგენის გამგე ნ. ეგოროვისა.

---

**ახალი კლუბი**

სამშაბათს, 31 იანვარს,

**საოჯახო საღამო. კონცერტი**

სიმებიან ორკესტრისა პრესმანის ლოტბარობით. კონცერტის შემდეგ „მინიატურების", თეატრი დასდგავს: 1) „პლატფორმები", პოლიტ. ბუფონადა ერთ მოქ. 2) „კუგელზონი", ხუმრობა ერთ მოქ. წარმოდგენის შემდეგ ლოტო. თეატრში ადგილების ფასი 0—50 კ.-დე. კლუბში შესასვლელად კაცები იხდიან 1 მ., ქალები 50 კ. (1—1068—1)

---

**სახაზინო თეატრი.**

ოთხშაბათს, 1 თებერვალს, 1912 წ. დანიშნულია ლექცია ივ. ფ. პალმოვისა:

**ლ. ნ. ტოლსტოის** სიკვდილის შემდეგ გამომჟღავნებული **კაზმული ნაწარმოებნი**

„რუსეთის დიდებულ მწერლის" საერთო დახასიათებით.

**ლექციის მოკლე პროგრამა:** 1. გეტე, ვ. ჰიუგო და ლ. ნ. ტოლსტოი, როგორც თავის ხალხის გენიის გამომხატველნი (შედარებითი დახასიათების ნიმუში), ლ. ნ. ტოლსტოის შემოქმედების ძირითადი თვისებანი. ლ. ნ. ტოლსტოის მსოფლიო მხედველობის განვითარების ზოგიერთი მომენტები. სიკვდილის მერე გამომჟღავნებულ ნაწარმოებთა თავმოყრა „რუსეთის დიდებულ მწერლის" მთლიან შემოქმედებასთან დაკავშირებით.

2. ობიექტიურ-მხატვრული ნაწარმოებნი (ტონი და მალანია, იდილია) და ძირითად თვისებით მათთან ახლო მდგარი; მაცდური, ძალა შემდეგ, ჰაჯი-მურატი. ამ ნაწარმოებთა ორი ძირითადი ნაწილი. 3. ლ. ნ. ტოლსტოის ცხოვრების დრამა, მისი ნაწარმოებნი, რომელთაც ავტორის ცხოვრების დრამის დაღი აზის: „ცოცხალი გვამი", „მამა სერგი", „სინათლე სიბნელეშიაც ანათებს". ლ. ნ. ტოლსტოის სიკვდილის შემდეგ გამომჟღავნებულ კაზმულ ნაწარმოებთა ღირსების საერთო დასკვნანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი დაკლებულია, 30 კაპეიკიდან იწყება. მოწაფეთათვის ღირს 50 კაპ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და საღამოთი 6 საათ. წარმოდგენის დათავებამდე. (2—1085—1)

---

**ავლაბრის საზოგადო კლუბი.**

სამშაბათს, 31 იანვარს, წევრთა შვილებისათვის დანიშნულია

**საბავშვო საღამო**

I **სინემატოგრაფი** II **დივერტისმენტი**

III. ცეკვა

ხუთშაბათს, 2 თებერვალს

**სამუსიკო-სალიტერატურო-ვოკალური საღამო**

პარასკევს, 3 თებერვალს, **კარნავალი**

სამ ძვირფას პრიზით: ერთი ქალის საუცხოვო ტანისამოსისთვის, ერთი—ვაჟურ ნამდვილ გემოვნებით შეკერილ ტანისამოსისათვის, ერთიც—დღიურ ჰირვარმისათვის. (1—215—1)

---

**ქ. თელავი**

ყველიერში 3 თებერვალს საკრებულოს დარბაზში გაიმართება.

**სამასკარადო საღამო**

ქ. შ. წერა-კითხვის სკოლის სასარგებლოდ. (3—1072—3)

---

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

**აკაკი-ს**

**თხზულების პირველი წიგნი,**

რომელშიაც მოთავსებული იქნება ახალი ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრეთვე ძველიც, ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება ათ შაურად.

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა"-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის" რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში". ბათომს—ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.12)

---

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—8).

---

ამ წლის პირველ თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი

**„ცხოვრება"**

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . 7 მან. | ერთ თვით ქუთაისში 80 კაპ.
ნახევარი წლით . 4 „ | „ „ ქუთაისს გარეთ 90 „
სამი თვით . . 2 „ 50 კაპ. | საზღვარ-გარედ ერთი წ. 14 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაურად.

განცხადების ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი . . . . 15 კაპ.
უკანასკნელ გვერდზე . . . . . . . . 10 კ.
სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა . 3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯულაყიძე.

დროებითი ადრესი: Кутаисъ. Александровская ул. д. № 6.
Савелію Трифоновичу Горгодзе.

ფული მიიღება მხოლოდ გორგოძის სახელზე. (7—1078—3)

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.26)

---

**საგურთალოზე**

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ საჟენი 80 კ.-დან.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 224)

---

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"-**

(წლ. 1090 263)

---

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**ბოჟოვსკი.** ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.

**არგუთინსკი**, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.

**მონსე.** ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

**კალამკაროვი.** ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**რიდელი.** შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია.** ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ბაგდოევისა**, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. 10—11 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაციი, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის მეთოდით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—48).

---

**დოქტორი მედიცინისა**

**ი. ე. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 95)

---

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

---

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 67).

---

**ექიმი** გ. მ. ლოლობერიძე იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაციდით. კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ—1657—29)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი** კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50—1552—30)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—38).

**ექიმი** პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.52).

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—87).

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყოფობას. ვასსერმანის რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—5½ საათამდე, ელისაბედის ქუჩა, № 94, საფოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—14)


## ტფილისი, 31 იანვარი

**სოციალ-დემოკრატია გერმანიაში.**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანიაში არა ჩვეულებრივი ამბავი ხდება. ჯერ აღსანიშნავია ის, რომ სოციალ-დემოკრატებმა უკანასკნელ არჩევნებში გაიმარჯვეს. პრეზიდენტის არჩევნების დროს კი ისეთი მდგომარეობა დაიბადა, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა ცენტრის პარტიის კანდიდატი პრინცი შპანი და სოციალ-დემოკრატებისა—ბებელი. საბოლოვო კენჭის ყრის შემდეგ შპანმა 196 ხმა მიიღო, ბებელმა კი 175. ამ რიგად პრეზიდენტად არჩეულ იქნა ცენტრის კანდიდატი, მაგრამ ის 175 ხმა, რომელიც ბებელმა მიიღო, ნათლადა ჰმოწმობს, რომ სოციალ-დემოკრატების გავლენა შესამჩნევად გაზდილა და დაუმსახურებია სიმპატია არა მარტო პროლეტარიატისა, არამედ უფრო ფართო წრეებისაც, განსაკუთრებით წვრილ ბურჟუაზიისა.

ეს გამარჯვება მრავალის მხრითაა საინტერესო. ეს გამარჯვება ჰმოწმობს, რომ გერმანიის მცხოვრებლები თანდათან იმსჭვალებიან იმ დემოკრატიულ პრინციპებით, რომელთა გამომხატველადაც გერმანიაში სოციალ-დემოკრატია ითვლება. კონსერვატიულ ელემენტებთან ბრძოლით დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ პროლეტარები, რომელთა სახელითაც გამოდის სამოქმედოდ სოციალ-დემოკრატია, არამედ სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები და კლასებიც, იმდენად, რამდენადაც მეტს ნაყოფიერებას იჩენს სოციალ-დემოკრატია დემოკრატიულ პრინციპების დაცვაში, სიმპატია მისდამიც იზრდება. სოციალ-დემოკრატების უკანასკნელი გამარჯვებაც ნათლად გამოჰხატავს გერმანიის სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა სულიერ განწყობილებას. მაგრამ ეს გამარჯვება სხვა მხრითაცაა საინტე-

რესო. იგი ჰმოწმობს, რომ სოციალ-დემოკრატიულ აზროვნებასა და პრაქტიკულ მოქმედებაში მომხდარა ისეთი ევოლუცია, რომელსაც შესაძლებლად გაუხდია არა პროლეტართა სიმპატიების დამსახურება. პარტია ძალიან ხშირად მარტო თვითონ კი არ ახდენს გავლენას ამომრჩევლებზე, არამედ თვით იგიც განიცდის ამომრჩეველთა ზედ-გავლენას. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას გერმანიის სოციალ-დემოკრატიაზე, რომელსაც განსაკუთრებულ პირობებში უხდება მოქმედება. გერმანიაში, მილიტარიზმის კლასიკურ ქვეყანაში, არ არსებობს მტკიცედ ჩამოყალიბებული და ასეთსავე მტკიცე ტრადიციებზე აღზრდილი ცენტრი, არ არის ბურჟუაზიული დემოკრატიული პარტია; ამიტომ სოციალისტურ პარტიას, სოციალდემოკრატიას, უხდება, ასე ვთქვათ, ბურჟუაზიულ დემოკრატიულ პარტიის როლის შესრულება. ასეთი მდგომარეობა უნაყოფოდ არა რჩება. გერმანიის სოციალ-დემოკრატია ეთვისება ამ მდგომარეობას და მოქმედების სათანადო გეგმასაც ადგენს. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ წრეებში საფრანგეთის ანტიმილიტარისტის ერვეს ქადაგება დიდს უკმაყოფილებას იწვევს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის წინ იშლება თვალ-წარმტაცი პერსპექტივა სრული გამარჯვებისა და საჯელმწიფო ძალის ხელში ჩაგდებისა. ამისთანა პერსპექტივით დამთვრალ სოციალ-დემოკრატიას, რასაკვირველია, ვერ შეუძლიან გვერდი აუქციოს ისეთს დიდ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა გერმანიის მილიტარიზმი. ამიტომ გასაკვირველიც არ არის ლიბკნეხტის სიტყვები, სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება მილიტარიზმს არ შეასუსტებსო.

ამას კარგად ჰგრძნობენ არამც თუ თვით სოციალ-დემოკრატები, ამომრჩევლებიც. ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობა ხმას აძლევს სოციალ-დემოკრატებს როგორც დემოკრატიულ პრინციპების დამცველებს და არა სოციალისტებს. ამ გარემოებას, ამომრჩეველთა ამ სულიერ განწყობილებას იმდენად დიდი მნიშვნელობა ეძლევა არჩევნების დროს, რომ სოციალ-დემოკრატებიც იძულებულნი ხდებიან ანგარიში გაუწიონ ხოლმე. ეს კი იწვევს შეგუებას, შესისხლ-ხორცებას ისეთს ელემენტებისას, რომელნიც თუმცა სოციალურად დაშორებულნი არიან, მაინც დღევანდელი მდგომარეობა ერთნაირ მიზნებს უსახავს. ეს შესისხლ-ხორცება თუ ერთის მხრით იწვევს გამარჯვებას, მეორის მხრით ფერს უცვლის თვით პარტიის ფიზიონომიას. რამდენადაც მეტად გაიზრდება პარტია და თავის გავლენას გაავრცელებს ისეთს კლასებზე, რომელთა სოციალური მდგომარეობა პროლეტარიატის მდგომარეობისაგან განსხვავდება, იმდენად მეტად შეეცვლება გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას სოციალისტური სახე და უბრალო დემოკრატიულ პარტიად გადაიქცევა.

ასეთი დასკვნა შეგვიძლიან გამოვიტანოთ აპრიორულად, ამასვე გვიმტკიცებს ცხოვრება.

# სახელმწიფო საბჭო

**აკიმოვი** თავჯდომარეობს. საყოველთაო პირველ-დაწყებითი სწავლების კანონ-პროექტზე კამათს განაგრძობენ. სხდომის შეწყვეტამდე მიიღეს განსაკუთრებულ კომისიის რედაქციით პირველი ექვსი მუხლი, სხდომის განახლების შემდეგ მიიღეს კანონპროექტის დანარჩენი მუხლები უმცირესობის შესწორებით. მიიღეს აგრეთვე სკოლათა დაარსების წესები. უარ ჰყვეს შესწორებანი: ერთი ვასილიევისა, რომელიც მოითხოვდა საყოველთაო სწავლის განსახორციელებლად 15 წელიწადი დაიდოს ვადათაო. და 2 გოლლევსკისა სათათბიროს მეექვსე მუხლის შენიშვნის მიღებისა, რომელიც გუბერნიებს, სადაც ერობა არ არსებობს, უფლებას ანიჭებს თვისი დასკვნანი წარმოადგინონ განზრახულ წესების სასურველ ცვლილებათა შესახებ და სამინისტროს კანონ-პროექტის მეათე მუხლის მიღებისა, რომელიც ადასტურებს, რომ სამინისტროს მიერ დახმარების აღმოჩენა თავისუფლებას არ უზღუდავს სკოლათა დამაარსებელთა სკოლის მართვა-გამგეობაში. ეს უკანასკნელი შესწორება უარჰყვეს იმ მოსაზრებით, რომ იგი დეკლარაციულ ხასიათის დებულებას წარმოადგენს: იგი უკვე აღნიშნულია საბჭოში შემოტანილ პირველ დაწყებითი სწავლების კანონ-პროექტში და ფინანსიურ პროექტში მას ადგილი არ უნდა ჰქონდესო.

რადგანაც კანონ-პროექტში ბევრი ცვლილება შეიტანეს, იგი შემთანხმებელ კომისიას გადაეცა.

საბჭომ ამოირჩია დეპუტაცია გრაფ მილიუტინის დასაფლავებაზე დასასწრებლად.

შემდეგი სხდომა 1 თებერვალს მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **საოპერო წარმოდგენა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ დღეს გაიმართება.** დადგმული იქნება ოპერა უჩინისა „ბოგემა“. სხვათა შორის **მონაწილეობას იღებს ელენე თარხნიშვილი**, რომელიც წელს ტფილისში უკანასკნელად გამოდის სცენაზე. წარმოდგენა საღამოს 8 საათზე დაიწყება.

✦ **ნამესტნიკს წარუდგა** 28 იანვარს ტფ. ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი. ამავე დღეს ნამესტნიკთან და მის მეუღლე გრაფინია ელისაბედ ანდრიას ასულ ვორონცოვ-დაშკოვთან სადარბაზოდ იყო გორის ეპისკოპოსი ანტონი.

✦ **ტფ. ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი** გუშინ პეტერბურგს გაემგზავრა „დაშნაქცუთუნის“ პარტიის საქმის გამო.

✦ **ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის უწყების უფროსი** გ. ვ. მუსელიუსი ბაქოს გაემგზავრა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა სარევიზიოდ.

✦ **სომეხთა ქამოიანის ეკლესია** (სასახლის ქუჩაზე) 29 იანვარს აკურთხეს. კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო.

✦ **სომხურ გაზეთების რედაქტორ-თანამშრომელნი**: ბოღდან ერიწიანი, რუბენ ხანიზადიანი და არუთინ გასპარიანი, რომელნიც 27 იანვარს დააპატიმრეს, უკვე გაანთავისუფლეს.

✦ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისია** 1 თებერვალს მეპურეთა საჩივარს განიხილავს.

✦ **ლექცია.** საზოგადოების სურვილის თანახმად ქ-ნი ა. მ. პომერანცევა-ფროლენკო 2 თებერვალს ქალთა უმაღლეს კურსების დარბაზში ხელმეორედ წაიკითხავს ლექციას „სოფლის სურათები“.

✦ **ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისია** 3 თებერვალს ავჭალას მიემგზავრება ქალაქის წყალსადენის დასათვალიერებლად.

✦ **ლექცია.** 1 თებერვალს ი. ფ. პალმოვი სახაზინო თეატრში ლექციას წაიკითხავს ლ. ნ. ტოლსტოის სამხატვრო ნაწარმოებებზე.

✦ 27 იანვარს მატერიალნი ქუჩაზე ჩვრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს მდედრობითის სქესისა, დაახლოვებით 4 დღისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს..

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 29 იანვარს თავი მოიწამლა ვერა დრეისერმა, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ 28 იანვარს შეასრულა სასჯელი და დუშეთის ციხიდან გაანთავისუფლეს **იოსებ გედევანიშვილი** (ავტორი „მსხვერპლისა“ და „გამცემი“-სა), რომელსაც ორი წლის ციხე ჰქონდა გადაწყვეტილი.

✦ **სროლა ზემო-ავჭალაში.** როგორც ტფილისში ამბავი მოვიდა, 28 იანვარს, გათენებისას, ზემო-ავჭალაში სროლა ყოფილა პოლიციელთა და ვიღაც უცნობთა შორის. ერთი უცნობთაგანი მოუკლავთ, რომლის ვინაობა ჯერ ვერ გამოურკვევიათ. დაჭრილა ერთი სტრაჟნიკი. ხანგრძლივ სროლის შემდეგ უცნობნი ტყისკენ გაქცეულან და დამალულან, დაუტოვებიათ რამდენიმე რევოლვერი, პატრონები და სურსათი.

✦ **გუბერნატორმა ნება დართო** სახაზინო თეატრის ანტრეპრენიორს ი. ფალიაშვილს საოპერო წარმოდგენა გამართოს მოუსავლობისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

✦ **გამოფენა.** ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების საბჭომ გუბერნატორს სთხოვა, ნება დართოს საზოგადოებას საარეშუმო სადგურის შენობაში 27 მარტიდან პირველ აპრილამდე ფრინველთა პირველი გამოფენა გამართოს.

✦ ტფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა აწ დახურულ გაზეთის „ნოვოე ობოზრენიე“-ე რედაქტორი **თავ. ვასილ მიხეილის ძე თუმანოვი,** განსვენებულის გვამი 29 იანვარს ხოჯივანქის სასაფლაოზე მიაბარეს მიწას.

✦ **გამოვიდა** და დაეგზავნა ხელის მომწერლებს ჟურნალ **„კოოპერაციის“ № 20—3** შემდეგის **შინაარსით**: 1) მოწინავე: **საკოოპერაციო ლიგა,** ი. გ—აიასი; 2–3) შულცე-დელიჩისა და ვ. თ. ტოტომიანცის სურათები, წარწერით; 4) **შულცე-დელიჩი,** ბიოგრაფია; 5) **„შვილო წონაში მოუტყუებიხარ!** (საკოოპერაციო ესკიზი),—გრ. სვირ-სკანდელისა; 6) ლექსი ვ. თაყაიშვილისა 7) **წვრილი კრედიტის ისტორია,**—თ-დი ზ. მიქელაძისა; 8) **საკოოპერაციო მოძრაობა გერმანიაში,**—დ. გ—რისა; 9) ქალაქი და ხალხი, - თ. ლონიერისა; 10) სახალხო ბანკი იტალიაში; 11) მიმდინარე ცხოვრება; 12) რა არის საჭირო კრედიტით სარგებლობისთვის და სხვა. **ჟურნალი ცალკე ნუმრებად არ გაიყიდება მეტად** (18 და 19 ნუმრები იყიდებოდა გასაცნობად); **რედაქცია ხელმეორედ მოაგონებს მსურველებს დააჩქარონ ხელის მოწერა.** წლიურად—3 მ., გიდნერის წიგნიანად („კოოპერაციის სისტემა“) 3 მ. 50 კ. ნახევარ წლით 1 მ. 75 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად. ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ ყველა აგენტთან. იბეჭდება და ხვალ აუცილებლად გამოვა, კვირას დაემგზავნება ხელისმომწერლებს.

✦ 29 იანვარს ალექსანდრე ნეველის ეკლესიის (ალექსანდრეს ბაღი) სამრეკლოზე ვიღაც უცნობი შენიშნეს და პოლიციას შეატყობინეს. პოლიციელი სამრეკლოზე ავიდა და უცნობს წინადადება მისცა, დანებებოდა, მაგრამ მან პოლიციელს სამრეკლოდან ძირს გადმოგდება დაუპირა. ამ დროს პოლიციელმა რევოლვერი ესროლა და უცნობი მსუბუქად დასჭრა, იგი აღმოჩნდა სარატოვის მაზრის გლეხი კუდაჩენკო.

✦ 28 და 29 იანვარს ტფილისში 154 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა საზოგადოების** საერთო კრება 29 იანვარს მოხდა ქალაქის საბჭოს დარბაზში, ა. ს. ბაბოვის თავმჯდომარეობით. კრებამ საზოგადოების წესდების პროექტი მცირე ცვლილებებით მიიღო. პროექტის საბოლოო რედაქციის შესამუშავებლად საგანგებო კომისია იქმნა არჩეული, რომლის კრებაც ამ დღეებში მოხდება. კრების დასასრულ ა. ბაბოვმა კრებას აცნობა, უკვე შევუდექით საზოგადოების შემოსავლის წყაროს გამოძებნასა და ერთის დაწესებულებიდან 25,000 მან. დაგვპირდნენო. საზოგადოების საწევრო ფული სამი მანეთია. ჩაწერისათანავე მანეთი უნდა შეიტანონ.

## ქუთაისი.

✦ **სალექციო კომისია.** ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქციამ გამოჰყო თავის წრიდან სალექციო და საინსტრუქტორო კომისია, საკრედიტო და სხვა ამხანაგობას და აგრეთვე კერძო პირებმა, რომლებსაც სურთ უფასო ლექციის გამართა კოოპერაციაზე, უნდა გამოუგზავნონ „კოოპერაციის“ რედაქციას (ქუთაისში) 15 მანეთი, თუ მისვლა-მოსვლისათვის საკმაო იქნება დღე ნახევარი (36 საათი), და სამგზავრო ხარჯები. წვრილი კრედიტის ინსპექციას განზრახვა აქვს, როგორც გავიგეთ, გახსნას საკრედიტო ამხანაგობა ყოველ სოფლის საზოგადოებაში. სასურველია ლექციების გამართა სოფლებში, რომ გაიგოს ხალხმა კოოპერაციის მნიშვნელობა და ყოველ-მხრიდან იქნას აღძრული შუამდგომლობა ამხანაგობის შესახებ.

— **ლექციები.** „კოოპერაციის“ რედაქტორი ამ კვირაში წაიკითხავს ლექციებს შემდეგს ადგილებში: უშაფათში (სენ. მაზრა)—31 იანვარს, ზუგდიდში—1 და 2 თებერვალს გუდათაში (სოხუმის ოლქი) 5 თებერვალს (ორი ლექცია) და სხ.

✦ თ-დ ნიკოლოზ **მინგრელსკის** მცხოვრებთა თხოვნით უსასყიდლოდ დაუთმია მომავალ რკინისგზის ლიანდაგისათვის თავისი მამული, სადაც კი ეს გზა გაივლის.

✦ **თამარაშვილის ძეგლის** აგებისათვის კოლხიდის რედაქციას მიუღია ნახიჩევანიდან: მ. ს. საგანელიძემ 2 მან.; თ. მეძმარიაშვილმა, შ. ჟორდანიამ, ა. კანდელაკმა, სანოკაევმა, კ. ხომერიკმა, ა. ჩარკვიანმა, მ. გამყრელიძემ, მაგანიშვილმა, რ. საგანელიძემ, ს. ყიფიანმა, გ. სხირტლაძემ, ე. გძელიძემ, ბ. რატიანმა, კ. ჩხეიძემ, ი. ქავთარაძემ, გ. გოგავამ თითო მანეთი: ს. გამყრელიძემ, ი. ხუნდაძემ, ს. ლეჟავამ, ნ. კანდელაკმა, თ. ქარსელაძემ, ა. ჭაჭანიძემ, ნ. იმნაძემ, №№, ძ. ჩახავამ, პ. გოგილიძემ, ი. ნიკოლაძემ ათ-ათი შაური, დ. პერანიძემ—1 აბაზი, მ. კალამიკოვმა 2 შაური.

✦ შავი ქვის საბჭომ გამოსცა ახალი წესდება მადნებში დაშავებულ მუშების დაჯილდოებისათვის, რომელიც შეიმუშავა მე-14 კრებამ.

✦ 26 იანვარს სამი თვის შესრულების შემდეგ ციხიდან გაანთავისუფლეს **ილ. ბახტაძე.**

✦ ნინო ჩხეიძის ასულის ბენეფისს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. პიესები თუმცა ძველი იყო, მაგრამ საყვარელ მსახიობს ღირსეული ყურადღება არ მოაკლო საზოგადოებამ. აღსანიშნავია მხოლოდ გაუწვრთნელი ქანდარა, საიდანაც თვით პიესის მსვლელობის დროსაც მოისმოდა ღრიალი.

✦ **ი. ჯაფარიძე** სთხოვს ქალაქის გამგეობას,—მასცეს იჯარით მოედანი გაგარინის ქუჩაზე, სადაც ბაზრობა იმართება, სამი წლით, წელიწადში 1053 მანეთად. ადრე 709 მანეთს იხდიდა. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა საჯარო ვაჭრობით გაიცეს ეს ადგილი.

✦ ქალაქის გამგეობამ წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად საბჭოს მიერ მიღებული სავალდებულო დადგენილება, სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურე პირთა წესიერ **დასვენების** შესახებ.

✦ **დ. ჩილინგაროვმა** თხოვნა შეიტანა ქალაქის გამგეობაში, იჯარით მისცენ ქალაქის სასაკლაო, სამიკროსკოპიო სადგური და ფარეხი წელიწადში 19,000 მანეთად.

✦ ქალაქის საქირურგიო საავადმყოფოს 1911 წ. შემოსავალი ჰქონდა 15,023 მან. და 94 კაპ. [illegible] ხარჯავთ 17,534 მ. და 9 შაური.

✦ 26 [illegible] მატარებლით გაემგზავრა ქ. პეტერბურგს შავიქვის საბჭოს თავმჯდომარე გ. ფ. ზდანოვიჩი.

## ახალციხე

✦ 22 იანვარს, კვირას, ნაწირობევს, წმ. გიორგის საკათედრო ტაძარში ადგილობრივი ქართველ საზოგადოების თანადასწრებით, დეკანოზმა დიმიტრი ხახუტაშვილმა გადიხადა პარაკლისი იუბილიარ მსახიობი ქალის, ქ-ნი **მარიამ საფაროვაბაშიძის** სადღეგრძელოდ. დასაწყისში, მამა დიმიტრიმ მოკლე მაგრამ გრძნობიერი სიტყვით გააცნო დამსწრეთ იუბილიარის ვინაობა და აღნიშნა მისი 32 წლის მოღვაწეობა სასცენო ასპარეზზე. დასასრულ-კი ადგილობრივი ქართველთა სახელით, მიულოცეს დეპეშით თბილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოებას იუბილიარი ქალის ეროვნული დღესასწაული. მეორე დღეს გაეგზავნა 41 მან. 37 კაპ. ხელის მოწერით შეგროვილი იუბილიარის ფონდისათვის, არჩეული პირნი სამზადისში არიან საყველივროდ გამართონ ქართული **წარმოდგენა** მარიამ საფაროვაბაშიძის სახელით, შემოსავალი მოხმარდება ადგილობრივი სამუდამო ქართული სცენის დასაარსებლად მისავე სახელითა. თუ ვერ მოასწრეს, დიდმარხვისთვის გადაიდება.

## თელავი.

✦ **სოფ. დიდ-ვაკეში** ცულით მოჰკლეს სოლომონ ნადირაშვილი დამნაშავენი იაკობ და თედო კრავცუნები, ნიკიფორე რუდენკო და ნიკოლოზ ბუბლიჩენკო შეიპყრეს.

✦ **ს. ყვარელში.** იოსებ კახაშვილმა ხანჯლით გულში დასჭრა ანდრია გელაშვილი.

## კოჯორი.

✦ **დაიწვა** ვაჭრის კარაპეტ ავაკიანცის სახლი, ღირებული 3.000 მანეთად.

## ჭიათურა

✦ ღამით 25 იანვარს პოლიციამ დააპატიმრა 20-დის კაცი, მათ შორის ადგილობრივ ქალების სასწავლებლის გამგე ქალი მ. ჩხეიძე. ამ ჩხრეკამ და დაპატიმრებამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. 26 დილის მატარებლით ყველანი ქუთაისის საპატიმროში გაგზავნეს.

— ეს რამდენიმე დღეა დათბა.

— კვირას ადგილობრივ თეატრში ითამაშებენ „მირრა ეფროსს“.

— ხიდის საქმე, რომელმაც უნდა შეაერთოს ბაზრის ქვემო ნაწილი შავი ქვის პლატფორმებთან, ნელ ნელა წინ მიდის. წყალში უკვე ორი სვეტია ამოყვანილი.

# ნაძალადევის სახალხო თეატრის კურთხევა

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ტფილისს კიდევ ერთი სახალხო სახლი მიემატა.

კვირას, 29 იანვარს, ნაძალადევის სახალხო თეატრის კურთხევაზე დიდ-

# კოოპერაციის მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობაში

ძველ დროში სასოფლო მეურნეობას მისდევდა ყველა—მეფიდან დაწყებული უკანასკნელ მუშამდე. სხვა დარგის წარმოება ან სრულებით არ არსებობდა, ან თუ არსებობდა, მას მისდევდა მხოლოდ რამდენიმე პირი. ეხლაც კი, როდესაც სხვა და სხვა დარგნი წარმოებისა ისე განვითარდნენ, რომ მათ შესამჩნევად გაუსწრეს სასოფლო მეურნეობას, ამ უკანასკნელს მაინც მცხოვრებლების დიდი უმრავლესობა მისდევს. ეს იმიტომ ხდება, რომ სასოფლო მეურნეობას პირველი ადგილი უჭირავს ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში და მასზე არის დამოკიდებული ჩვენი ავ-კარგი. აი ამის გამო სასოფლო მეურნეობას განსაკუთრებული ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, ყოველივე ახალ სასარგებლო მოვლენას სასოფლო მეურნეობაში, რომელიც მის განვითარება-აყვავებას ხელს უწყობს, ჩვენ სიამოვნებით უნდა შევხვდეთ და ყველანაირად ვეცადნეთ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობაშიც გაიდგას მან თავისი ფესვები.

კოოპერაცია სასოფლო მეურნეობაში სულ ახალი მოვლენაა. ის ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებშიაც კი ჯერ ისევ განვითარების ხანაშია; მაგრამ მას რომ დიდი მომავალი აქვს, ამაში ეჭვი არ არის. მწარმოებელი ასოციაციები ახალ ხანას ჰქმნიან და ამიტომაც ისინი ჩვენ განსაკუთრებით უნდა გვაინტერესებდნენ.

სასოფლო მეურნეობა თანდათან ცალკევდება, შორდება ინდუსტრიას (მრეწველობას); თვით სასოფლო მეურნეობაშიაც ხდება დიფერენციაცია (დანაწილება), საიდანაც გამოიყოფება განსაკუთრებული ფორმა სასოფლო სამეურნეო წარმოებისა. როგორც ვიცით, ნატურალურ მეურნეობის ხანაში სასოფლო მეურნეობა შეერთებული იყო სხვა და სხვა წარმოებასთან. მაგრამ ნატურალურ მეურნეობის დარღვევისათანავე და მის ნანგრევებზე კაპიტალიზმის აღორძინებისათანავე ძველ სამიწადმოქმედო-ხელოსნურ მეურნეობიდან თან და თან ცალკევდება განსაკუთრებული სამიწად-მოქმედო წარმოება. შრომის დანაწილება, ძლიერი კონკურენცია და უმიწობა უფრო და უფრო აიძულებს გლეხს მხოლოდ ერთ რომელიმე წარმოების დარგზე დაეყრდნოს. დღემდის ჯერაც არ დამთავრებულა პროცესი სასოფლო მეურნეობის ჩამოშორებისა ინდუსტრიისაგან. ჩვენ ამ ჟამადაც ვხედავთ სამიწად-მოქმედო სამუშაოსთან ერთად შინაურ წარმოებას. მაგრამ ეს შინაური წარმოებანი არსებობენ მხოლოდ როგორც გარეშე სამუშაო პირადი მოხმარებისათვის. საშინაო საქონლის დაკვლა და პურის ცხობა საბაზროდ სოფლად თან და თან ისპობა, საოჯახო საჭიროებისათვის კი ისინი დღესაც არსებობენ, თუმცა, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ესეც ისპობა საამხანაგო ორგანიზაციების ზეგავლენით.

კაპიტალისტურ კონკურენციის განვითარების დროს საბაზროდ გამზადებული სოფლის ნაწარმოების გადამუშავება სწარმოებს განვითარებული საზოგადოებრივი შრომის განაწილების ძლიერ ზედ-გავლენის ქვეშ. ამის გამო გლეხი ვერ უძლებს კონკურენციას თავის ნაწარმოების თავისებური, ძველებური გადამუშავებით; ასე რომ გლეხი ძალაუნებურად იძულებულია დაკმაყოფილდეს განსაკუთრებით თავის მიწის დამუშავებით.

საზოგადოდ, როგორც ყოველგვარი წარმოება, სასოფლო-სამეურნეო წარმოება არსებობს ორი ფორმით: როგორც მსხვილი და როგორც წვრილი წარმოება. წვრილ მეურნეობაში ყველა უმთავრესი სამუშაო თვითონ მესაკუთრე - მეურნესაგან სრულდება, მსხვილ წარმოებაში კი მეურნე მხოლოდ ზედამხედავის და გამწესრიგებლის ფუნქციებს ასრულებს. დიდი ხანია არსებობს დავა მსხვილი თუ წვრილი მეურნეობის უპირატესობათა შესახებ, მაგრამ დღემდის ვერც მსხვილი და ვერც წვრილი წარმოების დამცველები ვერ უჩვენებენ იმ უპირატესობათ, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდეს ერთი თუ მეორე ფორმის დამჯობინება. ამა თუ იმ ფორმის განსაკუთრებულ და დამახასიათებელ თვისებათა მიხედვით ერთი მათგანის უპირატესობანი ერთ მხრივ ქარწყლდება მისივე დიდი ნაკლით მეორე მხრივ. მაგალითად, მსხვილ მეურნეობას წვრილის წინაშე ის უპირატესობა აქვს, რომ ტეხნიკურად და კომერციულად ის უკეთესად არის დაყენებული, მაგრამ სამაგიეროდ მას ზარალი მოსდის დაქირავებულ მუშებისაგან, რომლებიც პირდაპირ დაინტერესებულნი არ არიან თავისი ნაწარმოებით. წვრილი მეურნეობა კი წინ აყენებს წვრილი მესაკუთრის ძლიერ ფსიხოლოგიურ გრძნობას, რომლის ძალით უფრო ენერგიულად და ინტენსიურად სწარმოებს მეურნეობა, მაგრამ საუბედუროდ მის ხელთ არ არის კარგი ტეხნიკა და არც შეუძლიან კომერციულად კარგ ნიადაგზე დამყარება.

აქედან თავის თავად იბადება კითხვა: როგორ შეუთანხმდნენ და რა ნაირად შეეწყვნენ ერთი მეორეს ამ სხვა და სხვა ფორმის ამ გვარი უპირატესობანი და ნაკლულევანებანი. სასოფლო მეურნეობის საწარმოვო ასოციაციების განხილვა მოგვცემს ჩვენ პასუხს ამ გვარ კითხვაზე. მაგრამ სანამ ჩვენ ამ საწარმოვო ასოციაციების განხილვას შევუდგებოდეთ, აუცილებელ საჭიროთ მიგვაჩნია ცოტათი შევჩერდეთ სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დამახასიათებელ თვისებებზე, რადგანაც მათზე დამოკიდებულია სხვა და სხვა სამეურნეო ასოციაციების არსებობა,

მარქსამდე, და თვითონ მარქსიც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ სასოფლო მეურნეობის განვითარებას. ამ საწარმოვო დარგს ადარებდნენ საქარხნო წარმოებას და აქედან გამოჰყავდათ ბევრი შემცდარი დასკვნა სასოფლო მეურნეობის შესახებ. ასეთი შედარების გამო ჩვეულებრივად სასოფლო მეურნეობასაც უმორჩილებდნენ მარქსის ცნობილ კანონს ინდუსტრიაში. და აი ამის მიხედვით ამტკიცებდნენ სოფლის წვრილი მეურნეობის მოსპობას მსხვილი მეურნეობისგან. მაგრამ დღეს, განსაკუთრებით მეცნიერ დავიდისაგან უკვე ჯეროვანად გამორკვეულია სასოფლო მეურნეობის განსაკუთრებული თვისებანი და ამიტომაც ახლა ისე ზერელედ აღარ ადარებენ სასოფლო მეურნეობას ინდუსტრიასთან (მრეწველობასთან), როგორც ამას სჩადიოდნენ წინად. სასოფლო მეურნეობას აქვს არსებითი თვისება, რომელიც დაწვრილებით გაარკვია და ნათლად დაახასიათა იმავ დავიდმა. ის ამბობს, რომ მრეწველობა არის მექანიკური პროცესი, სასოფლო მეურნეობა კი—ორგანიული. ორგანიული პროცესის დროს შეუძლებელია წარმოება სპეციალურად მხოლოდ ერთ რომელიმე წარმოებაზე შეჩერდეს. ამის გამო სასოფლო მეურნეობაში შრომის დანაწილება არ ვითარდება ისე, როგორც ინდუსტრიაში. მიწის სამუშაო მანქანასაც დიდი დაბრკოლებანი ელობებიან. არსებობენ ისეთი სამეურნეო მანქანები, რომელთა შენახვაც თვითეულ მეურნეს სარგებლობის მაგივრად ზარალს მოუტანენ, სხვათა შორის იმიტომ, რომ სასოფლო მეურნეობა ხან-გამოშვებით სწარმოებს; ნახევარ წლობით ის თითქმის შეჩერებულია. გარდა ამისა სოფლის მეურნეობა იმდენად უფრო ინტენსიურია, რამდენადაც დასამუშავებელი ადგილი შედარებით მცირეა. სოფლის მეურნეობაში შეუძლებელია განუწყვეტელი ზრდაგვითარება, როგორც ესა ხდება მრეწველობაში. ორგანიული პროცესი მოითხოვს უფრო მეტ დაკვირვებულ და ფაქიზ შრომა-გარჯილობას, რის გამოც მსხვილი მეურნეობა ბევრს ჰკარგავს დაქირავებულ მუშის გაუფრთხილებლობისა და დაუკვირვებლობისა გამო; წვრილი მესაკუთრე კი დიდის სიყვარულით და სიფრთხილით ეკიდება თავის საქმეს.

ყველა ეს ზემოდ ნათქვამი ეხებოდა მხოლოდ სოფლის მეურნეობის ფორმას, ე. ი. განსაკუთრებით მიწადმოქმედებას. სასოფლო მეურნეობა კი ფასთ-მოვლენაა. მასში იგულისხმება ზოგიერთი ისეთი ფორმები, რომლებიც თავისი წარმოების ხასიათით უფრო მრეწველობას ეკუთვნიან, როგორც, მაგალითად, სხვა და

ძალი საზოგადოება დაესწრო, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი და წევრნი, ისე ქალაქის გამგეობისა, დრამატიულ საზოგადოებათა და რედაქციების წარმომადგენელნი.

თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო. ბევრი გარედ დარჩა, რადგანაც დარბაზმა ვერ დაიტია.

ნაშუადღევის 1 საათზე მღ. მახათაძემ პარაკლისი დაიწყო. გალობდა კ. ჩარკვიანის ქართველ მგალობელთა გუნდი და ნაძალადევის საეკლესიო რუსული ხორო.

პარაკლისის მერე ნაძალადევის თეატრის რეჟისორმა სვიმონიძემ რუსულად მადლობა გადაუხადა ამ საქმეში დამხმარეთ და შემომწირველთ.

ფანიაშვილმა წაიკითხა ნაძალადევის თეატრის მოკლე ისტორია.

ქალაქის გამგეობის სახელით მისალოცი სიტყვა სთქვა არღუთინსკიმ.

სახალხო სახლთან არსებულ რუსულ სექციის მხრივ მიულოცა ზაგორსკიმ.

უკრაინელთ სექციის სახელით მიულოცა უკრაინულ ენით ახალგაზდამ.

ია ეკალაძემ ახალგაზდა მწერალთა ჯგუფის სახელით მოხდენილი მოკლე სიტყვა წარმოსთქვა.

ქართულ დასის სახელით მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ვლ. ალექსი-მესხიშვილმა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის სახელით მიულოცა ვალ. გუნიამ.

სომხურ დრამატიულ საზოგადოებისა და სახალხო სახლთან არსებულ სექციის სახელით მიულოცა ერიცოვმა.

მუსულმანთა დრამატ. საზ. და სექციის სახელით მიულოცა მათმა წარმომადგენელმა.

„თემის“ რედაქციის სახელით მიულოცა გრ. დიასამიძემ.

გრ. ჯაბაურმა წაიკითხა თავისი მილოცვა.

ნაძალადევის თეატრის სულის ჩამდგმელმა და ამ საქმის უმთავრესმა მოთავემ გრიგოლ ჩარკვიანმა სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა. მოგვყავს ეს სიტყვა:

„პატივცემულნო კრებულნო, დღევანდელ დღეს უნდა მიულოცოთ ნაძალადევის მცხოვრებელთ ახალი თეატრის დაფუძნება ნაძალადევში, მით უმეტეს, რომ ნაძალადეველთა ღარიბთა უბანმა დიდის მეცადინეობით დ ენერგიით შეჰქმნა ისეთი კულტურული საქმე, როგორიც არის სახალხო თეატრი, იყო დრო, როდესაც ბნელი დ გზა ეკლიანი იყვნენ პირნი, რომელნიც სცდილობდნენ სინათლის მაგიერ სიბნელეში ყოფნას. დრო შეიცვალა და უმრავლესობამ შეიგნო გზა სინათლისა. აი, ამ შეგნებულ პირთ შეჰქმნეს ეს სამაგალითო საქმე, სამაგალითოა მით უმეტეს, რომ არა რომელიმე ერთ პირთაგან ანუ შეძლებულთაგან არის შექმნილი იგი, ეს საქმე შეჰქმნა მუშა ხალხმა, იმ ღარიბთა უბნის მცხოვრებლებმა, რომელთაც ქოხიც კი არ უვარგათ საცხოვრებლად. აი სწორედ ამ უბნის მცხოვრებლებზე ითქმის უკვდავ ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები: „არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა გემსავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა-რა არგოს“.

დღეს მადლობის ღირსნი არიან ნაძალადეველთა მცხოვრებნი, რომელთაც არ დაიშურეს არაფერი და როგორც ნივთიერი ისე, საკუთარ შრომით დახმარება აღმოუჩინეს ამ სიმპატიურს და საშვილი-შვილო საქმეს.

დიდ მადლობას უძღვნის ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრე ქალაქის თავს ბ. ალ. ივ. ხატისოვს, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა ნაძალადევის თეატრს; მადლობა ქალაქის თვით-მმართველობას, რომელმაც დაგვითმო ადგილი ძველი შენობით და დაუნიშნა ყოველ წლიური დახმარება.

მადლობა იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც ერთ დროულად აღმოუჩინეს დახმარება და მით მისცეს საშუალება თეატრის დამთავრებისა.

აგრეთვე მადლობა ნაძალადეველთა იმ პატარა წრეს, რომელთაც იკისრეს ეს სიმპატიური საქმე და სისრულეშიაც მოიყვანეს, აგრეთვე დღეგრძელობა ცოცხალთა და საუკუნო ხსენება იმ პირთ, რომელთაც ამ ათი-თორმეტი წლის წინად საძირკველი ჩაუყარეს ნაძალადევში სცენის დაარსებასა.

ვუსურვოთ დღეგრძელობა ჩვენს მომავალ თაობას, რათა უფრო მეტი ენერგია და თანაგრძნობა გამოეჩინოთ და რაც ნაკლი შენიშნონ მათ გაეუმჯობესებინოთ. მადლობა ყველას თქვენც, პატივცემულნო სტუმარნო და დამსწრენო.

ვაშა ყველა იმ მსახიობთ, რომელთაც დღევანდლამდე უსასყიდლოდ მიიღეს მონაწილეობა და დახმარება აღმოუჩინეს თეატრს.

ვაშა მათ, რომელნიც სცენას ემსახურებიან“.

კვირას, 29 იანვარს საღამოს წარმოდგენაზე ნაძალადევის ახალ თეატრში იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა.

ამ საღამოთი პირველი წარმოდგენა იყო. თამაშობდნენ ქართულად „სამზადისს“ და „დედის ერთას“, ხოლო რუსულად „Женитьба“-ს თხზ. გოგოლისა.

„სამზადისმა“ სუსტად ჩაიარა. სამაგიეროდ „დედის ერთამ“, ქ-ნ ჩერქეზიშვილისა და ბ-ნი რომანიშვილის შეუდარებელ და ხელოვნურ თამაშის გამო საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა. კარგად ითამაშეს რუსებმა „Женитьба“-ც. სცენის მოყვარეებს დიდი გულმოდგინეობა ეტყობოდათ.

წარმოდგენა ღამის ორის ნახევარზე დასრულდა.

## ყაჩაღის მოკვლა

ავჭალის სადგურ ზემოთ გლდანისაკენ მიმავალ (ძველ სასაფლაოსთან) გზაზე დილის ბინდ-ბუნდზე სტრაჟნიკები წასწყდომიან ყაჩაღების ბრბოს. ყაჩაღებს სროლა დაუწყვიათ და ერთი სტრაჟნიკი დაუჭრიათ. სტრაჟნიკები მიწაზე დაწოლილან და ისე დაუწყვიად სროლა. მოუკლავთ ერთი ყაჩაღთაგანი. სამი გაქცეულა. სროლის ადგილას ყაჩაღებს დარჩომიათ ახალი შინლები, პური, ყველი, ერთი გასისხლიანებული პალტო ამის მიხედვით ფიქრობენ, რომ ერთი ყაჩაღიც ძლიერ დაიჭრაო. მკლავში, მსუბუქათ დაჭრილი სტრაჟნიკი საავადმყოფოში წაუყვანიათ. მოკლულ ყაჩაღის გვარი ვერ შევიტყეთ. ამბობენ, შილდელიაო (კახეთიდან).

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორისაგან.

დღეს და ხვალ **ურიგდებათ** ტფილ. წლიურ ხელის-მომწერთ პრემია „**გრდემლი**“. დღეიდანვე შეუძლიანთ წაიღონ პრემია გაზეთის კანტორიდან იმ ხელის-მომწერლებმა, რომელნიც გაზეთს ფოსტით იღებენ და პრემიის გადასაგზავნი ხარჯი 30 კ. არ წარმოუდგენიათ.

**კრებული „გრდემლი“** გასასყიდად არის მხოლოდ ქ. შ. წ.-კ. საზ. ტფილისის წიგნის მაღაზიაში; ფასი 1 მ. 50 კ.

## არეულობა სპარსეთში

(დეპეშები)

**თეირანი.** მთავრობას ჰსურდა 160 ათასი მანეთი ესესხნა შუსტერის მოხელეების. გასასტუმრებლად და აი, რა აღმოჩნდა: შუსტერს წასვლამდე მოხელეებისთვის 3 ნახევარ წლის ჯამაგირი მიუცია და საგზაოდ თავისთვის 250 ათასამდე წაუღია. ასე რომ ამერიკელებს ედებათ სპარსეთის ხაზინისა 100 ათასი მანეთი.

## ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

**ხარბინი.** 500 ხუნხუზმა ქალაქი სინდაგოუ აიღო.

**ტოკიო.** იაპონიის ფინანსისტები სცდილობენ სამხრეთ ჩინეთში თავის კაპიტალის გავრცელებას. გარეშე საქმეთა მინისტრმა უციდამ განაცხადა, ჩინეთში რაც უნდა მოხდეს, იაპონიას არ გაუკვირდებაო.

**ჩიფუ.** ხუთასი მოხალისე ზღვით დენჯოუფუს მიდის. მოხალისეებს კარგად აცვიათ და იარაღიცა აქვთ.

**კულჯა.** შიჰოს გზაზე რევოლუციონერებმა ჩინელები გაძარცვეს. რაზმის უფროსი უკან დააბრუნეს და დამნაშავენი ჩამოახრჩვეს.

**ჩიფუ.** იმ გემიდან, რომლითაც გუბერნატორი მოვიდა, 4 ზარბაზანი მოიტანეს, ბევრი სამხარი იარაღი და გადმოვიდა 400 ჯარისკაცი. ჯარისკაცებს კიდევ აგროვებენ.

**ციციკარი.** დალმანიდან იუწყებიან, ლანტინვეის აგენტებმა შანჰაის გუბერნატორის ცოლი და ასული მოიტაცეს და გამოსასყიდად ფულსა სთხოვენო. გუბერნატორმა დიდძალი ძვირფასი ნივთი და ფული მისცა აგენტებსა.

**მუკდენი.** იუანშიკაიმ ჯაოერსუნს ურჩია, ნანკინის მთავრობას შეურიგდიო. ეხლა ჯაოერსუნმა ვრცლად უპასუხა იუანშიკაის და სამინისტროს აფრთხილებს, რესპუბლიკელთა იდეებმა ნუ გაგიტაცათ, როგორ შეიძლება ნანკინის მთავრობასთან შერიგება, მეფის გადადგმაო. შემდეგ იგი აღნიშნავს მანჯურიის ჯარი ერთგულიაო და დასძენს, თუ მინისტრთა საბჭო არ შეთანხმდება, სამსახურიდან განმთავისუფლეთო.

დააპატიმრეს აფიცერი და 50 ჯარისკაცი, რომელთაც რევოლუციონერებთან შეერთება ჰსურდათ. ჯაოერსუნმა თავისი ქონება და ოჯახი იაპონიას გაჰგზავნა.

**ურგა.** ფინანსების გასაუმჯობესებლად მონგოლეთის მთავრობამ გადასწყვიტა 20 ათასი აქლემი გაჰყიდოს, უცხოეთიდან შემოტანილ ნივთებზე ბაჟი დააწესონ. კონცესიები გასცენ, რუსეთის ფოსტა მონგოლეთში ხაზინის ხარჯით ზიდონ და კერძო პირთ უფლება მისცეს საფოსტო ცხენებითა და სადგური შესაფერ სასყიდლით ისარგებლონ. აქლემების გაყიდვა მცხოვრებლებს სწყინთ, რადგანაც აქლემები ძალიან სჭირდებათ.

## იტალია-ოსმალეთის ომი

დეპეშები.

**რომი.** კანევას თათბირი ჰქონდა მინისტრებთან და გამართლდა ხმები კირენაიკის ჯარის უფროსის თანამდებობის გაუქმების თაობაზე. კირენაიკი წინად ტრიპოლს არ ექვემდებარებოდა.

კანევასა და მთავრობას ჯერ არ გაუთავებიათ მოლაპარაკება. კანევა ამტკიცებს თავის ტაქტიკის მართებულობას, მისის აზრით, ტრიპოლის შუაგულში შესვლა საფრთხილო საქმეა.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ.

კანევასთან მოლაპარაკების შემდეგ მთავრობას გადაუწყვეტია ენერგიულად შეუდგეს საქმეს და ომი გაახაროს.

## რუსეთი

**პეტერბურგის უნივერსიტეტში.**

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს სხდომა გაუმართავთ, რომელზედაც პროტესტი გამოაცხადეს სამინისტროს მიერ პროფესორთა განწესების სისტემის წინააღმდეგ. პროტესტი გამოიწვია სახალხო განათლების მინისტრის მიერ საფინანსო უფლებათა კათედრაზე ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორ პ. პ. მიგულინის დანიშვნას.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

30 იანვარი.

ს ა ზ ღ ვ ა რ-გ ა რ ე დ.

**გლაზგო.** საზღვაო საქმეთა მინისტრმა ჩერჩილმა ინგლისის ფლოტის მნიშვნელობის თაობაზე დიდი სიტყვა წარმოსთქვა. ჩერჩილმა აღნიშნა, ინგლისის არსებობის უზრუნველმყოფელი ფლოტია, გერმანისთვის კი ფლოტი გასართობს და ზედმეტს რასმე წარმოადგენსო. დიდის სიამოვნებით მივეგებებით მათ, ვინც ზღვაზე ჩვენს მეტოქეობას თავს დაანებებს, მაგრამ თუ ბრძოლა განაგრძეს, ინგლისი ყველაზე ძლიერ შეიარაღდებაო.

**ქაირო.** ნაციონალისტთა მეთაურის მუსტაფა-ფაშის სიკვდილის წლის თავზე ქუჩებში დიდძალმა ხალხმა დემონსტრაცია მოახდინა.

**პარიზი.** სენატი. საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების განხილვის დროს რიბომ სთქვა: საფრანგეთი გერმანიას ზრდილობიანად ექცევა, მაგრამ ძველს საქმეს არ დაივიწყებსო. ჩვენ რომ შეთანხმება არ დავამტკიცოთ, ხალხი არ მოგვიწონებს ამისთანა საქმესაო.

**ბრიუსელი.** ვორინაჟის ქვანახშირის მადნების გაფიცული მუშები დუქნების ძარცვას განაგრძობენ. მთავრობამ ჯარი გაჰგზავნა. გენაჰის საპროვინციო საბჭომ გაფიცულებს 20 ათასი მანეთი მისცა. სოციალისტებმა პალატაში წინადადება შეიტანეს, 200 ათასი გადავდოთ გაფიცულებისთვისო. ხმა დავარდა, მუშებმა კენჭი უყარეს გაფიცვის შედარებით საკითხს და გაფიცვას ცოტა მუშა მიემხროო.

**ლვოვი.** სეიმის სხდომაზე ლევიცკიმ განაცხადა, უკრაინელები სამართლიან საარჩევნო უფლებისთვის ვიბრძოლებთო. პოლონელმა ბილინსკიმ სთქვა, ტყუილია, ვითომც შეთანხმება პოლონელთა ჯიუტობის გამო ვერ მომხდარიყოსო. შეთანხმება აუცილებლად საჭიროა. მეფის მოადგილე ბობრჟინსკი ამბობს, იმედია, მოლაპარაკებას განვაგრძობთ და შევთანხმდებით კიდეცაო. როდესაც თავმჯდომარემ მორიგ საქმეებზე გადასვლა გამოაცხადა, რუსებმა ობსტრუქცია გამართეს. ხმაურობის მიუხედავად სხდომამ მაინც განიხილა ყველა საქმე. სხდომის გათავების წინ ობსტრუქციონისტთა ერთმა ნაწილმა ტრიბუნას მიაშურა და სცდილობდა ყვირილით ხელი შეეშალა ტრიბუნაზე მოლაპარაკესათვის.

**სენტ-ეტიენი.** ლუარის მთა-მადნის მუშებმა გადასწყვიტეს 17 თებერვალს საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადონ.

**ბერლინი.** „გერმანია“ პოლონელებს საყვედურს უთვლის, ვიცე-პრეზიდენტის არჩევაზე სოციალისტებს რად მოეხმარეთო. სხვა გაზეთები აღნიშნავენ, ჯერ ისეთი პრეზიდიუმი არა ყოფილა რეიხსტაგშიო.

რეიხსტაგის პრეზიდენტმა შპანმა ცენტრის ფრაქციის კრებაზე განაცხადა, ორშაბათს თავს დავანებებ პრეზიდენტობასაო.

**ბელგრადი.** მთავრობის წრეებში ხმა დავარდა, მომავალ კვირას სკუპჩინას დაითხოვენო. არჩევნები მოხდება აპრილის დამდეგს და სკუპჩინა გაიხსნება აპრილის დამლევსაო. სკუპჩინის წევრთა რიცხვი 175 იქნება.

**ლვოვი.** პოლონელ-უკრაინელთა შეთანხმების საქმე ცუდად არის. უკრაინელები [illegible] ტატთა საერთო რიცხვში 39% უკრაინელი იყოსო, პოლონელები კი მხოლოდ 26,4% უთმობენ. სეიმში ისევ ობსტრუქციაა. რუსთა სასულიერო სემინარიაში უკრაინელმა მოწაფეებმა განაცხადეს, სანამ რუსებს არ განდევნით სასწავლებლიდან, არაფერსა ვჭამთო. სასწავლებლის მთავრობის რჩევით რუსმა მოწაფეებმა ღამე მიატოვეს სასწავლებელი და კერძო ოჯახებში დაბინავდნენ.

**მანჩესტერი.** ნავთსადგურის მუშები არა მუშაობენ, თუმცა გაფიცვა არ გამოუცხადებიათ. ეშინიანთ, ვაი თუ გაფიცვა გავრცელდესო.

**ბერლინი.** გარეშე საქმეთა სამინისტრო აღარ უარჰყოფს ჰოლდენის ჩამოსვლის მნიშვნელობას, მაგრამ დასძენს, ტყუილია, ვითომც განსაკუთრებული მისია ჰქონდეს მინდობილიო. აქ ლაპარაკობენ, გუშინ ჩერჩილის მიერ წარმოთქმულ სიტყვის შემდეგ, სისულელეა ვიფიქროთ, თითქოს იარაღის აყრის საკითხში გერმანიასა და ინგლისს შეთანხმება შეეძლოსო. გერმანია დიდი ხანია ამჩნევს, რომ ინგლისი რბილად ეპყრობა და მეგობრობასაცა სთხოვს, გერმანიას უხარიან ეს. ჰოლდენი ნიადაგის მოსამზადებლად ჩამოვიდაო.

**ბელგრადი.** ქურშუმიდან იუწყებიან, 25 იანვარს არნაუტების ბრბო სოფელ შტაკს დაეცაო, სოფლელებმა სროლა აუტეხეს, ერთი არნაუტი მოჰკლეს, სხვები დაიფრინესო.

**ზაგრები.** ოპოზიციის ათმა გაზეთმა ვენისა, პრაგისა, და ბუდაპეშტის გაზეთებს მოწოდება გაუგზავნა მეფის მოადგილის მიერ გაზეთების კონფისკაციის გამო.

**პარიზი.** სენატში საფრანგეთ გერმანიის შეთანხმების თაობაზე პუანკარემ სთქვა. თუმცა ხელშეკრულება უნაკლო არ არის, მაგრამ ალჟერისასისას და 1909 წლის ხელშეკრულებას კი სჯობიან. ხელშეკრულებას თუ უარჰყოფთ, უნდა უარჰყოთ მაროკოს პროტექტორატი და საზოგადოდ შესცვალოთ საფრანგეთის მე-18 საუკუნიდანვე წარმოებული პოლიტიკა აფრიკის საქმეებისა. ხმელთა შუა ზღვაზე საფრანგეთმა მოაგვარა საქმე ესპანიასა და იტალიასთან, ეხლა გერმანია და დარჩაო. ხელშეკრულების ძალით გერმანია საფრანგეთის მაროკოს გამო აღარ გამოედავება.

კლემანსო ამბობს, 1909 წლის ხელშეკრულება სჯობდა ეხლანდელსაო. განა აგადირის ზარბაზანს ისე უნდა შევეშინებინეთო. 1870 წლიდან მოყოლებული გერმანია ხუთჯერ გვემუქრებოდა ომსა და მშვიდობიან ცხოვრებას გვიშლიდა. გერმანია მოგვთხოვს ინგლისს ნუ

---

სხვა სპირტების გამოხდა, ერბოს და ყველის კეთება და სხვა. ორგანიულ წარმოებაში მსხვილ მეურნეობას არავითარი უპირატესობა არა აქვს წვრილის წინაშე; პირიქით მას თან ახლავს მრავალი შემაფერხებელი დაბრკოლებანი; მექანიკურ წარმოებაში კი (მრეწველობაში) ნედლ მასალის დროს აშკარა ხდება მსხვილი წარმოების ტეხნიკური და კომერციული უპირატესობანი. ამისათვის ნედლ მასალის დასამუშავებლად ორგანიზაციულად აწყობენ საამხანაგო კავშირებს, სადაც საქმის წარმოება ისევე შეიძლება მოეწყოს, როგორც მსხვილ წარმოებაში. მეორე შესამჩნევი და არსებითად დამახასიათებელი თვისება სასოფლო მეურნეობისა არის ის, რომ მექანიკურ პრინციპებზე და ტეხნიკურ განვითარებაზე არ არის დამოკიდებული მისი ზრდა-განვითარება, როგორც ეს არის მრეწველობაში. სოფლის მეურნეობა განვითარდა და აყვავდა ტეხნიკურ გამოგონებათა წყალობით კი არა, არამედ მეცნიერულ გამოკვლევანის შემწეობით, მათი ზე-გავლენით. როგორც ვიცით, წარსულ საუკუნის შიწურულში სამეცნიერო კვლევა-ძიებამ ბევრი ახალი რამ აღმოაჩინა სასოფლო მეურნეობაში. მიწის ძველი მამა-პაპური, პრიმიტიული გაპოხიერება-განოყიერების ნაცვლად დამუშავების ახალი წესები ვრცელდება და ვითარდება. ლიბიხიდან დაწყებული, რომელმაც პირველად აღმოაჩინა მიწის ქიმიურად მდიდრდება განოყიერება, სასოფლო-მეურნეობა უფრო და უფრო ვითარდება და ახალ-ახალი აღმოჩენა-გამოგონებით, მაგრამ ასეთი მეცნიერული აღმოჩენანი შეიძლება საქმეში გამოიყენონ მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილმა და მსწავლულმა სპეციალისტებმა. საგრონომიო ტეხნიკის განვითარებას სასოფლო მეურნეობაში თავის მხრივ ძირითადი ცვლილებანი შეაქვს. საჭირო ხდება ახალი მთესველი მანქანების გაუმჯობესება, საუკეთესო თესლის შეძენა, მიწის განოყივრება და სხვა. ეს კი მოითხოვს ბევრ ცოდნის და კაპიტალს, რომლებითაც სარგებლობა მხოლოდ მსხვილ მეურნეობას შეუძლიან. ცალ-ცალკე წვრილ მეურნეებს არ შეუძლინთ ყველა ეს განახორციელონ და სწორედ აქ ეხმარება მათ საამხანაგო კოოპერაცია. საჭირო კაპიტალს, როგორც ჩვენ ამას ქვევით დავინახავთ, საამხანაგო საკრედიტო ასოციაცია იძლევა. მაგრამ ეს საკრედიტო საამხანაგო ასოციაცია მარტო კაპიტალის მიწოდებით არა კმაყოფილდება. ამგვარი ამხანაგობა აძლევს თავის წევრებს საჭირო თესლსაც, მიწის გასანოყივრებელ პატივსაც და სამიწადმოქმედო მანქანებსაც.

1.

**მსყიდველი ამხანაგობანი.**

სოფლის მეურნეობისათვის, როგორც ვიცით, აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ საწარმოვო იარაღები, სხვა და სხვა მანქანები, თესლეულობა და სხვა. ყველა ამ საჭირო იარაღებისა და მასალის სყიდვას თაოსნობს განსაკუთრებული სამეურნეო ასოციაცია. ამგვარი სამეურნეო ასოციაცია ყველაზე უფრო ადრე შემოღებული და საყოველთაოდ გავრცელებული კოოპერატიულ ამხანაგობათაგანია. კაპიტალიზმმა მთელი რევოლიუცია მოახდინა და ძირითადი ცვლილებანი შეიტანა სასოფლო მეურნეობაში. წინად მიწად-მომქმედი ყველაფერს, რაც კი საჭირო იყო მის მეურნეობისათვის, თითონ აკეთებდა. ის თვითონ ამზადებდა გუთანს, ფარცხს, თესლეულობას, თვითონვე ზრდიდა და ინახავდა მუშა-საქონელს და სხვა. ასეა დღეს ჩვენში. დღეს კი მიწად-მომქმედს ბევრი რამ იარაღი სჭირდება, რომელსაც ბაზარზე ყიდულობს. ამნაირად მეურნე იძულებულია მჭიდროდ დაუკავშირდეს ბაზარს. მაგრამ გამოუცდელ გლეხს ძვირად უჯდება ასეთი კავშირი. არსებობენ ისეთი ქარხნები, რომლებიც უვარგისს თესლეულობას ჰყიდიან; გამოუცდელი გლეხი ამგვარ თესლეულობის სიიაფეს ეხარბება და ჰყიდულობს მას. განცალკევებულ პიროვნებას არ შეუძლიან ამგვარ ბოროტებასთან ბრძოლა; მაგრამ ის, რაც შეუძლებელია ერთი პიროვნებისათვის, შესაძლებელია საერთო, საზოგადოებრივი ძალ-ღონით. და აი სხვა და სხვა სასოფლო სამეურნეო ამხანაგობანი, როგორც მაგალითად, მსყიდველი ამხანაგობა, სამიწად-მოქმედო სინდიკატი და სხვანი, შეერთებული ძალღონით ებრძვიან ამ გვარ ბოროტებათ და შეძლებისა დაგვარად სპობენ მათ. ასეთი ამხანაგობანი ჩვეულებრივად ურიგდებიან სამიწად-მოქმედო საცდელ მინდვრების გამგეობებს (опытныя станціи) თესლეულობის შესაძენად, იკვლევენ თესლეულობას და ამ ნაირად თავის წევრებს აძენინებენ საუკეთესო ჯიშის თესლს. გარდა ამისა ამ გვარ ამხანაგობას იაფად უჯდება საჭირო საქონელი, რადგანაც მას ერთიანად ყიდულობს და არა წვრილ-წვრილად. მსყიდველი ამხანაგობანი ძალიან გავრცელდნენ გერმანიაში 1904 წ. მათი რიცხვი 2.025-დე ავიდა. ასეთი ამხანაგობანი ყიდულობდნენ დიდ-ძალ საჭირო სამეურნეო საქონელს. მაგალითად, საიმპერიო კავშირის ცენტრალური კასის საშუალებით ამხანაგობებმა შეიძინეს 1904 წ. 29.239.000 ცენტნერი (88 მილიონი ფუთი) სხვა და სხვა სამეურნეო საქონელი, მათ რიცხვში 13.574.000 ცენტნერი (41 მილ. ფუთი) მიწის მინერალური სასუქი, სულ 65.953.000 მარკისა (30.338.480 მან.). ამის გარდა მათ დაიარსეს საკუთარი ქარხნები მიწის ქიმიურ სასუქის დასამზადებლად; 1900 წ. კი მათ ჩილიში (ამერიკაშია) შეიძინეს გვარჯილის მადნები.

სამიწად-მოქმედო სინდიკატები შესამჩნევად განვითარდნენ და აყვავდნენ საფრანგეთშიაც. პირველ ხანებში აქ მათ დიდი დაბრკოლებანი გადაეღობნენ წინ. მიწის წვრილმა მესაკუთრეობამ შეაჩვია საფრანგეთის ხალხი განცალკევებულ, ერთი-მეორისაგან დამოუკიდებელ კარ-ჩაკეტილ მეურნეობას და ამის მიზეზით ძნელი იყო მათი ერთი-მეორესთან შეერთება-შეკავშირება. პირველად აქ დაარსდა მსხვილ მეურნეთა კავშირები. როდესაც წვრილმა მეურნეებმა დაინახეს ასეთი კავშირების სარგებლიანობა, მათაც მიჰბაძეს და თვითონაც დაიწყეს შეერთება-შეკავშირება. პირველი სამიწად - მოქმედო სინდიკატი დაარსა საფრანგეთში 1883 წელს პროფესორმა ტანვირიემ ლუარისა და შერის დეპარტამენტში. 1907 წელს 1 იანვრისათვის მათი რიცხვი 3.883 უდრიდა, რომლებშიაც 716,5 ათასამდე წევრი ითვლებოდა. სინდიკატების წევრების შედგენილობა სხვა და სხვა გვარია; ისინი შეიძლება დაახლოვებით სამ კატეგორიად გავანაწილოთ: პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ისინი, რომლებსაც სინდიკატების წესდების ძალით რაიმე კავშირი აქვთ მიწად-მოქმედებასთან, მაშასადამე, ამგვარ სინდიკატებში შესვლა შეუძლიანთ ვაჭრებსაც, მექარხნეებსაც და სხვას. მეორე კატეგორიას ეკუთვნიან მსხვილი მეურნენი და მესამეს—სასოფლო-მეურნეობის მუშები. რაც შეეხება პირველ კატეგორიას, უნდა ვთქვათ შემდეგი: სინდიკატების და საზოგადოდ კოოპერაციების მიზანია გარდაქმნა თანამედროვე საქონლის გაცვლა-გამოცვლის და განწესრიგების სისტემისა და ყოველგვარ შუამავლების მოსპობა. აქედან ნათლადა სჩანს, რომ ვაჭრები და მექარხნეები წინააღმდეგნი იქნებიან ამგვარ სინდიკატებისა და ამიტომ, თუმცა სინდიკატების წესდების ძალით იმათ შესვლის ნება აქვთ, ისინი მაინც არ შედიან ასეთ კავშირში. სინდიკატებში მსხვილი მესაკუთრეთა რიცხვი უფრო მრავალია, ასე რომ საფრანგეთში ჯერ-ჯერობით მხოლოდ მსხვილი მესაკუთრეთა სინდიკატები არსებობენ; და აი ეს შეერთებული მსხვილი მესაკუთრენი მდიდრდებიან და ზრდიან თავის ქონებას ერის სხვა კლასების წყალობით. სხვილ მესაკუთრეთა სინდიკატების მნიშვნელობა წვრილ მესაკუთრეებისათვის მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ამ უკანასკნელთ მაგალითს აძლევენ. ამიტომ საფრანგეთში ამ ჟამად სულ ადვილად არსდება სხვა და სხვა სამეურნეო სინდიკატები. როკინი, ავტორი შესანიშნავ თხზულებისა საფრანგეთის სინდიკატების შესახებ, ამბობს, რომ ერთმა სამეურნეო ჟურნალის რედაქტორმა, რომელიც სხვა და სხვა ადგილებში მოგზაურობდა და საუბრებს ჰმართავდა სინდიკატების შესახებ, ასამდე სინდიკატი დაარსა ამ მოგზაურობის დროსაო.

**შ. გოგებაშვილი.**

(დასასრული იქნება)

ემხრობითო; ნუ დავუჯერებთ. ჩვენ კიდევ შეგვიძლიან წარმოვშობოთ რაიმე ქვეყანაზე.

კანონ-პროექტი მიიღეს 212 ხმით 42 წინაამდეგ, 38 თავი შეიკავა.

საბარგო ვაგონი გაეძარცვა, ჯარისკაცთა რაზმმა სროლა ასტეხა. სამი გაფიცული დასჭრეს. ბრბო ჯარისკაცებს დაერია. დაჭრილია ერთი ქალი.

**ვენა.** გაიხსნა სრულიად სლავიანთა ჟურნალისტთა კავშირის კომისიის სხდომა; მონაწილეობენ ჩეხელთა, ხორვატიელთა და სერბიელთა წარმომადგენელნიც. პოლონელებმა, სლოვენცებმა და ბულგარებმა მონაწილეობის მიღება არ მოისურვეს. სხდომამ ხორვატიის გაზეთების შევიწროების გამო საპროტესტო გადაწყვეტილება გამოიტანა.

**პარიზი.** სადისციპლინო ბატალიონის ჯარისკაცის დამარხვის გამო ანარქისტებისა და სოციალისტების გაზეთები პროტესტს აცხადებენ სა-

**მონსი.** 500 გაფიცული შეეცადა დისციპლინო ბატალიონის წესრიგის წინაამდეგ, ერნუს კუბოს ბევრი დეპუტაცია მისდევდა წითელისა და შავის დროშებით. როდესაც სინდიკალისტები სასაფლაოდან გამოდიოდნენ, პოლიციასთან შეტაკება მოუხდათ. პოლიციის ორი აგენტი და ერთი ბრიგადირი დასჭრეს.

## რუსეთი.

**სოსნოვიცი.** სატურნის მაღაროებში მიწა ჩამოწვა. ერთი მუშა იმსხვერპლა, ორი დაასახიჩრა.

**ნოვოჩერკასკი.** მდინარეები ნაპირებიდან გადმოვიდა და ათი მოსახლეობა წალეკა, დაახრჩო შინაური ფრინველები და ოთხფეხნი. მცხოვრებლები ჭერზე ავიდნენ და ისე გადაურჩნენ წყალსა.

**პეტერბურგი.** სათათბიროს კომისიამ იუსტიციის მინისტრის ცნობა დეპუტატ ბლიუმენტალის 338 და 1041 მუხლების ძალით პასუხის გებაში მიცემის შესახებ, უყურადღებოდ დასტოვა.

კიევის სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა საბრალდებულო ოქმი დაბალ მოქალაქე ბეილისის შესახებ, რომელსაც მცირე-წლოვან ანდრია იუშჩინსკის მოკვლა ჰბრალდება.

პეტერბურგის საქალაქო საქმეთა საკრებულომ ძალაში დასტოვა ქალაქის გამგეობის დადგენილება მოუსავლობისაგან დაზარალებულთათვის 100000 მანეთით დახმარების აღმოჩენა, რომელიც ქალაქის უფროსმა უკანონოდ სცნო.

**მოსკოვი.** „უტრო როსიის" რედაქტორი 1404 მუხლის ძალით პასუხის გებაში მისცეს გაზეთში მოთავსებულ წერილისათვის: „ჩვენს სახელმწიფოში საქმე ცუდათაა".

**სარატოვი.** მოვიდა ახალი არქიელი ალექსი, რომელსაც სადგურზე ადმინისტრაციისა, ქალაქისა, სამღვდელოების, და მცხოვრებთა წარმომადგენელნი მიეგებნენ.

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით სენატორ მედემის რევიზია 1912 წლის 1 მარტამდე გაგრძელდება. ნეიდგარტის რევიზია დამთავრდა. აგრეთვე რევიზია გარინისა, ინჟინერთა უმაღლეს სამმართველოს გარდა.

**იალტა.** დეპუტაციისა და მრავალ მლოცველთა თანადასწრებით პანაშვიდი გადაიხადეს გრაფ მილიუტინის სულის მოსახსენებლად. იალტის ნავთსადგურში გენერალმა დუმბაძემ სიტყვა წარმოსთქვა, რომლის შემდეგ ჯარმა მუხლი მოიყარა. მიცვალებული კრეისერ „კაგულში" გადაასვენეს.

# თეატრი და ხელოვნება

### ქართული თეატრი.

კვირას, 29 იანვარს, დანიშნულმა წარმოდგენამ მრავალ-რიცხოვანი საზოგადოება მიიზიდა. უმრავლესობას ეტყობა ჰსურდა ერთხელ კიდევ ენახა და დამტკბარიყო ახლად იუბილეის გადახდილ, დამსახურებულ და ნიჭიერ მსახიობ საფაროვ-აბაშიძის ხელოვნურ თამაშით, მაგრამ თეატრის კარებზე გაკრული განცხადება იუწყებოდა, რომ ქ. საფ.-აბაშიძის ავადმყოფობის გამო, გამოცხადებული პიესები გადაიდო და სამაგიეროთ წარმოდგენილი იქნება „დამნაშავის ოჯახიო". ამ განცხადებამ პირველად. ბევრი დაალონა და თითქმის უგულოთ შევიდნენ თეატრში, მაგრამ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საზოგადოება ამ წარმოდგენიდან მეტად ნასიამოვნები და ამსრულებელთადმი მადლობის გრძნობით დაბრუნდა.

მართლაც ძალიან იშვიათად მიგვიღია ასეთი ესთეტიური სიამოვნება ქართულ წარმოდგენით, როგორც კვირას. თითქმის არ ვუჯერებდით ჩვენს თვალებსა და ყურებს: როგორ? ასე უცბათ წარმოდგენილი პიესა და **ჩვენი** დასისგან ესე მწყობრად, ხელოვნურად და თითქმის უნაკლულოდ ჩატარებული!.. თითქოს თეატრის დარბაზის კედლებიც გამხიარულდნენ და გაიწ-გამოიწიეს, როცა ჰხედავდნენ სასცენო ხელოვნების ასეთ გამარჯვებას. რომ ადარებდით გასულ ხუთშაბათის უგემურ და ნაძალადევ წარმოდგენას. მაგრამ, ეტყობა, „როცა გული-გულობს, ქადა ყოველთვის ორი ხელით იჭმევა"... და ჩვენც ჩვენი დასის ესეთ გამარჯვებას, სიამოვნებით ვაღვიარებთ.

„დამნაშავის ოჯახმა" საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ნიჭიერს ფრანგ ავტორს დიდის ხელოვნებითა აქვს ჩამოყალიბებული ადამიანის სულიერი განცდა, ბრძოლა გრძნობის და მოვალეობის შორის. მომქ. პირთა უცხო სახელები რომ არ გესმოდეთ, ვერც კი იგრძნობთ, რომ პიესა ნათარგმნია, იმდენად შეეგუება იგი ყველა ეროვნების ადამიანთა ცხოვრებას. რადგანაც სიტყვა უმისოდაც გაგვიგრძელდა, ამ ჯერეთ, აღარ მოვყვებით დაწვრილებით შინაარსის გადმოცემას, მით უმეტეს, რომ იმედია ჩვენი დასი, ამ მეტად საინტერესო პიესას ერთხელაც არის კიდევ გაიმეორებს და მით სხვებსაც შეძლებას მისცემს დასტკბეს ამ ნამდვილ დრამატიულ ნაწარმოებით და ჩვენც იმ დროისთვისა ვდებთ სიუჟეტის გადმოცემას. უმთავრესს ღერძს, რომელზედაც ტრიალებს მთელი ჩარხი ამ დრამისა, შეადგენს ცოლ-შვილისადმი ზღვა გრძნობის მქონე ოჯახის უფროსი — კორარდო, ბედისაგან უწყალოდ ტანჯულ-წამებული. ამ რთულ როლის აღსრულება ეკისრა ჩვენში უბადლო მსახიობ ვლ. მესხიშვილს, რომელიც გუნებაზედაც იყო და როლიც იცოდა, ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ მაყურებელზე რა შთაბეჭდილებას მოახდენდა. ბუნებრივობა და ზომიერება როლის განხორციელებაში, ზენარე ნიჭით გაშუქებული,—ვის არ მოხიბლავდა!.. კაცმა არ იცის იმის თამაშის რომელი მომენტი უფრო იყო მომხიბლავი: სცენა საყვარელ მეუღლესთან პირველად შეხვედრისა, 14 წლის ტყვეობის შემდეგ; სცენა ერთად-ერთ ქალიშვილთან სამუდამოდ გამოთხოვებისა, როდესაც ამასთანავე გარემოება აიძულებს თავის ვინაობა არ გაუმჟღავნოს; თუ უკანასკნელი სცენა, როცა, დიდ სულიერ ბრძოლის შემდეგ, საწამლავსა სვამს და ისე „ბუნებრივად" კვდება.

ამ საღამოს მოგვეწონა **ქ. ვიქტორელიც,** რომელმაც დაკვირვებით ჩაატარა გულუბრყვილო, 14 წლის, ემმა-ადას როლი, მხოლოდ იმას გრძნობიერობის მეტი სიცხოველე გამოიჩინა, როცა ტყობულობს, რომ იმისი საყვარელი მასწავლებელი ქალი - როზალია, იმისი ღვიძლი დედა ყოფილა... **ქ. დავითაშვილმაც** ბუნებრივად ჩაატარა როზალიას რთული როლი, თუმცა ბოლოს არა ბუნებრივი გულგრილობით შეჰხვდა. ქმრის მოწამვლას და სიკვდილს. **ვ. გუნია,** (ექიმი პალმიერი), **გედევანოვი** (მონსინიორი) და **გვარაძე** (დინ-ფერნანდო) ხელს უწყობდნენ საერთო ანსამბლს. წარმოდგენა, არა ჩვეულებრივად, თერთმეტ საათზედ გათავდა. **გ. ა—ლი.**

# წერილი რედ. მიმართ

დიდად პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის შემწეობით გამოვაცხადოთ სია იმ შემომწირველთა, რომელთაც თავიანთი წვლილი არ დაიშურეს და შემოსწირეს ქ. ახალციხიდან იუბილიარი ქ-ნ მარიამ საფაროვ-აბაშიძის ფონდის გასაძლიერებლად:

დეკანოზმა დიმიტრი ხახუტაშვილმა 3 მან., ვასილ გამრეკელმა 3 მ., მიხ. კვალიაშვილმა 2 მ., ზაქარია კ. დიდიმამაშვილმა 2 მ., პატრი რაფ. ნებიერიძემ 1 მ. 50 კაპ., ვლად. დაფქვიაშვილმა, ლევან ფირალიშვილმა, ალ. ჭურაძემ, ივანე ხმალაძემ, ილიკო ბზიკაძემ, საშა აზნაუროვმა, ქსენია ჯულელმა, ევგენია ასათიანმა, ანტ. მაისურაძემ, სტეფანე ჩილინგარიშვილმა, ბაგრ. მეფისაშვილმა, მღ. ბენიამენ კანდელაკმა, სვიმონ ერემოვმა. პატრი პავლე კლაიჯიშვილმა მღ. ალიოზ ჩილინგრიშვილმა, მღ. პავლე თათენაშვილმა, ნინა ლაზარიშვილისამ, მაგდანელა მეფისაშვილმა, გრიგოლ ექსანოვმა, პავლე მეტრეველმა, პავლე ნიკ. ძე ამაშუკელმა და გიორგი დიმიტრის ძე ჩიკვაიძემ **თითო მანეთი.**

მღ. მიხელ ვარძელაშვილმა, ქრისტესია გვარამაძემ, მიშა ზედგენიძემ, თავ. ჯავანოვმა, მიხელ წალდაძემ, იოსებ მაისურაძემ, იაკობ ნადირაძემ, პავლე სეხნიამა, საშა ბაიბურთელმა, თავ. ლევან ვაჩნაძემ და ხარებოვმა **ათ-ათი შაური.**

ბლ. მღ. ა. ზედგინიძემ და კუპიდონ ბაქრაძემ **ორ-ორი აბაზი.**

პეტრე ივანეს ძე ერეკლიშვილმა 30 კაპ. სუმბატ ხერედინოვმა, რაფიელ ბეგიშვილმა, ფრანცისკე დურგლიშვილმა, ლუკა ხუციშვილმა და კონსტანტინე გვარამაძემ **ხუთ-ხუთი შაური.**

რაფიელ საკოვმა, პავლე ოსიფოვმა, სტეფანე მაისურაძემ, მღ. ნიკოლოზ კიკნაძემ, გაბრიელ მღებროვმა, ივანე სარიევმა, მოსწავლე ივანე ბარკალაიამ, სტეფანე გასპარაშვილმა და იაკობ ბექანიშვილმა **თითო აბაზი.**

პაშა გრძელიშვილმა და ალექსანდრე გეგიძემ **სამ-სამი შაური.**

ვასილი ტიგანაშვილმა და ბესომ **ორ-ორი შაური.**

ჯამი შესდგა 43 მ. 65 კაპ.

მისალოცი დეპეშისა, ფულის გასაგზავნი და რედაქციაში გამოსაცხადებლად ანგარიშის ხარჯები, 2 მ. 28 კ.; დარჩა 41 მან. 37 კ., რომელიც გამოგეგზავნათ 23 იანვ. რედაქციას თქვენს სახელობაზე დრამატიულ საზოგადოების მთავარ გამგეობის გადასაცემად.

**ახალც. საიუბილეო კომისიის წევრები: მღ. ბენიამენ კანდელაკი, ევგენია ასათიანი, კონსტანტინე გვარამაძე.**

—

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა ვუძღვნა იმ პირთ, რომელთაც თავიანთი წვლილი შემოსწირეს კასპის ერთკლასიან სკოლის მოწაფეთათვის შობის ხის გასამართავად.

პავლე ი. მახარაძემ ნაძვის ხე, ვაშკილევიჩი—55 კ. შ. ოქრომჭედლოვი 1 მ. შ. შარიკაძე—50 კ. Василій Векшинъ—50 к. Евгеній Карумидзе—1 р. პ. ჭელიძე 40 ი. ისკანდაროვი 1 მ. ისკანდაროვი 1 მ. დ. ციციშვილი 1 მ. ღვ. ს. თამარიძე 1 მ. კნ. ან. ამილახვრისა, 50 კ. დ. ამილახვარი 1 მ. ვ. და თ. ქარუმიძეები 50 კ. დ. და ნ. ლოლობერიძეები 1 მ., ს. ღვინიაშვილი 1 მ. Викторъ Василіевичъ Дзюбенко 1 р. დ. ამილახვარი 3 მ. შ. ჯიოშვილი 1 მ. ს. ბოქორიძე 1 მ. კ. ჟღენტი 40 კ. ს. ხიმში 1 მ. 50 კ. გალუსტოვმა ხუთი ნივთი. სულ შესდგა 19 მ. 85 კ. ხარჯი 17 მ. 88 კ. წმინდა შემოსავალი **1 მ. 97 კ.,** რომლითაც გამოვიწერეთ ჟურნ. ნაკადული.

**კასპ. სკოლის მასწავლებელი სალომე ხიმშიაშვილი.**

—

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულ გლდნის ეკლესიის იატაკის დასაგებად გამოიღეს თავისი წვლილი: მასწავლებელმა მარიამ ტაბლიაშვილმა, ექიმმა ვაწაძემ, პეტრე მაისურაძემ და სარქის ამუაშვილმა.

სოფ. გლდნის მღვდელი

**კორნილე ელიზბარაშვილი.**

# ჩვენი ფოსტა

**ქ. ქუთაისი. ოკრიბელ ვანოს.** თქვენი წერილი „მღვდლების დაჯარიმება" ვერ დაიბეჭდება.

**ვაქირი** (ქიზიყი). **მღვ. ირაკლი ცინცაძეს.** თქვენი „ღია წერილი" არ დაიბეჭდება. მიჰმართეთ პირადად.

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

### ტფილისიდან გადის.

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, II—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალოჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალოჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—II კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალოჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალოჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ь, I—I კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

### ტფილისში მოდის.

**ბათომიდან;** 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—III კლის. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/60, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

## გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

### რუსეთის საზოგადოებისა.

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

## უფასო საექიმო დახმარება

### ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71:)

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამალლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 51 და მალაკანის მოედანზე.


# განცხადებანი

№ 4711
სქელი პუდრი
კანს ხავერდისავით ანაზებს და ალამაზებს
ფერდ. მიულჰენსი
კოლონფი 25 კაპ.
პარფიუმერია № 4711
მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის იჯარადარი.




Метцъ 352138 352158

(9—1538—5)

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606" — 11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

**კბილის** საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
**ი. ა. ფრანკი:** 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.†)

# იჯარით იძლევა ბაღი

ორთაჭალაში, სახელად „მეგობრები" („დრუზია"). პირობების გაგება ტრამვაის კანტორაში შეიძლება.
(3—1084—1)

**დაიბეჭდა და იყიდება**

# ნ. ვ. აბრამიანის

შემდეგი შრომანი:

I

**სავაჭრო ბუღჰალტერიის სახელმძღვანელო,**

ნავთის მრეწველობისა და ნავთის ქარხნის წარმოებასთან დაკავშირებულ იტალიურ ორმაგ ბუღჰალტერიის სისტემით. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა ფასი 2 მ. 50 კ.

II

**სარგებლის გამოსაანგარიშებელი ტაბლიცა.**

1—30 დღეში, 1/4—12%-დე, ყოველგვარ თანხისა 1—10000 მანეთამდე. მეორე გამოცემა, ფასი 85 კ.

III

**ყველასთვის გასაგები ცნობათა წიგნი,**

საბუღჰალტრო კურსების მსმენელ ქალ-ვაჟთა და კანტორ. მომუშავეთათვის, ფას. 30 კ.

ამ გამოცემათა საწყობი **ნ. აბრამიანის** საბუღჰალტრო კურსების ბინაზე, ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა, № 22. ვინც პირდაპირ საწყობიდან ფასდადებით დაიბარებს, გადასაგზავნს არ იხდის.
(10—193—6)

# სამკურნალო

ექიმთა-სპეციალისტების
მუდმივი საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^{1/2}$—$12^{1/2}$ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წამლობა „606"-ით,**
(100—1615—18)

# სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე. ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**
(თ. 1646.15)

**გამოცდილმა**

# მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქალაქო და სატეხნიკო სასწავლებლისათვის,** ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

**Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв, 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.**

**А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).**
(т. 1084.76)

# რადგანაც ყველა მამულები,

რომელიც ეკუთვნოდა **თ-დ დავით ივანეს ძესა და ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავებს** (ლამისყანელთ), სოფ. ბაღინსა, ჩრდილისოფელსა, ფარიანთ-კარსა, ქვემო-მაღინსა, ზემო-მაღინსა, გორგასა, სამარკლეთსა, ჯორთისსა, მესამე ბესელთასა, ჯურთასა, ჯუნეთსა, დადიანეთსა, ზოდეხსა, ამუთკარსა, თოხთასა, მახიარეთსა, თამარვლეთსა, ძველდამასა, ნავისხევსა და ჩილოიანთკარსა, ტფ. **საოლქო სასამართლოს** 1910 წ. 14 ოქტომბრისა და 1911 წ. 12 მაისის **დადგენილებით**

# გადავიდა სრულ საკუთრებად

**სოვდაგარ იაგორ მარქარას ძე მზარეულოვის მემკვიდრეთა ხელში,** ამის გამო ყოველგვარი ხელშეკრულება ამ მამულების თაობაზე ნამდვილად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ იგი დადებულია მზარეულოვების რწმუნებულთან, რომელიც ბინადრობს ტფილისში, **ელისაბედის ქუჩაზე,** საკუთარ სახლში, № 5.
(1—214—1)

# 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

# „ნაკადულ"-ზე

✦ **წელიწადი მერვე.** ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბაქრაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1627—23 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**


ტფილისი სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა